საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია

დასკვნა:დ12.3723269001
თარიღი:26/09/2023

# დ ა ს კ ვ ნ ა

**ოზურგეთი მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის'' დამტკიცების შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 22 სექტემბერს განიხილა ოზურგეთი მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის'' დამტკიცების შესახებ პროექტი და დაადგინა:

პროექტი ძირითადად წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებასა და მდგრადი, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგიის წვდომაზე, რომელიც ევროკავშირმა შეიმუშავა ინიციატივა — მერების შეთანხმების საფუძველზე.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების ფაქტობრივად განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტის საზღვრებში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვას.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი